წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. პარასკევი აგვისტოს 25 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე [illegible] სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] 2 საათ. 6 მ.
2 საათის შემდეგ . . . 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. მიქელაძის სახში.
კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 111 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 111

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

ბათომის კომიტეტი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება: **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

წყევლი სიყვარულისა

მხატრული დრამა 4 ნაწილათ, მ. კ. ნეველსკის, ტ. ა. ადამის და სტრიჟევსკის მონაწილეობით.

დ ჟ ე რ ი შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი ა კომიკური.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება

გამოხსნის ბაირაღი

მხატრული დრამა ოთხ ნაწილათ მარიამ ბერტელიის მონაწილეობით.

ლ ო კ ო კ ი ნ ე ბ ი კომიკური.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია ს ა ჰ ნ ი ს საკეთებელი **სოდა** და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

საფრთხე.

ეს ერთი კვირაა ქუთაისსა და მის გუბერნიაში საშიში ამბები ხდება. მცხოვრებნი ყოველ დღე უბედურებას ელიან. ქუთაისში მოჰკლეს მილიციელი, დასჭრეს ორი კაცი. კვირას ფერმის უბანში დიდი სროლა ასტყდა. ორშაბათს ოფიცერს ქ. კობახიას და ჯ.-კაცს ოლიბიძეს ქუჩაში ლაპარაკი მოუვიდათ. კობახიამ რევოლვერი გაისროლა. მას დაეხვივნენ ჯარისკაცები და კობახია თვითგასამართლების მსხვერპლი შეიქმნა.

ამ მოვლენამ ხალხში აღშფოთება გამოიწვია: ქუთაისის გუბერნიიდანაც განუწყვეტლივ მოდის სახიფათო ცნობები.

მკითხველებს ეხსომებათ სოფ. დიდიჯიხაიში მომხდარი საშინელი მკვლელობა. გარემოება საგონებელში გვაგდებს ყველას. წვრიმალი პატარა გამოსვლებს შეიძლება ბოლოს დიდი გამწვავება მოყვეს. რადგან ამით ისარგებლებენ ხალხის მტრები და ახალი წესწყობილების განმტკიცების მოწინააღმდეგენი.

სამწუხარო მოვლენები სხვათა შორის დღევანდელ უთმენლობით, ნერვიულობით და უპასუხისმგებლობით აიხსნება. მაგრამ ჩვენ პირდაპირი ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ სახიფათო მდგომარეობას უაღრესათ სამწუხაროა, როდესაც ქართველები გამოდიან დამღუპველ ამბების მომწყობათ.

შორეულს მოსულს იმდენი არ მოეკითხება, რამდენიც ქართველს, ადგილობრივ მკვიდრს. ქართველებს უმისოდაც საკმაო სიმწარე გვეღის. დღეს, რომ ზოგიერთებმა, თუნდაც ალაგ-ალაგ, უმნიშვნელო უწყება მოახდინონ, ეს დამწვარზე მდუღრის დასხმა იქნება და ხალხის ღალატი. ოფიცერს, ჯარის კაცს და ყველას ჰმართებს უკიდურესი სიფხიზლე, თავშეკავება და დაკვირვება. ჩვენ, რომ ადგილობრივათ შფოთი დავიწყოთ. დაუწყნარებელ ცხოვრების აღელვებას ხელი შეუწყოთ, ამით ქვეყანას დაუმტკიცებთ, რომ თავისუფლების შეთვისება მოხმარა არ შეგვიძლია. მაშინ გარედანაც არ დაგვზოგავენ. ნუ ვიქმთ ამას!.. ყველას გვევალება ნაკლებ გამჭრიახობის, შეუგნებელ პირების მიმართ ზნეობრივი გავლენის მოხდენა, შეიგნონ და თავი შეიკავონ მავნე გამოსვლებისაგან. ძლიერს, გავლენიან პარტიას და ძალა-უფლებით აღჭურვილ რევოლუციურ ორგანოს სჭირია სასწრაფოთ ზომები მიიღოს.

ზომები ისეთი, რომელიც შეეთვის-შეეფერება საქმის ნამდვილ გარემოებას და ადგილობრივ მდგომარეობა-პირობებს. მოქმედება, ზომების მიღება დაუყონებლივ უნდა დაიწყოს, თორემ უბრალო მოვლენები დიდ ხიფათად იქცევიან, რომელთანაც ბრძოლა გაძნელდება.

სანტ.

რუსეთის ტრაგედია.

ტრაგიკულ მდგომარეობაშია რევოლიციურ რუსეთის დემოკრატია. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის საქვეყნოთ გამოცხადება საბედისწერო შეიქნა. თვენახევრის შემდეგ დემოკრატიას ფრონტის გამოცვლა დასჭირდა.

ზეიმით აღსარებული ყოველ დაჩაგრულ ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპიც შებღალეს. ფინეთს და უკრაინას დარღვეულ საკუთარ ცხოვრების ფუძის აღსადგენათ სამართლიან, მაგრამ მძლავრ ეროვნულ გამოსვლისთვის სოციალისტი კერენსკი რეპრესიებით დაემუქრა.

სტოკჰოლმის კონფერენცია იყო იმედი და ერთი გამარჯვებათაგანი რუსეთის რევოლუციისთვის. რევოლუციურმა რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ითავა. სამწუხაროთ ბოლოს სტოკჰოლმი მხოლოთ რუსებს დარჩათ, რადგან სხვა სახელმწიფოებმა ხსენებულ კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი სთქვეს.

ბურჟუაზია გარიყეს; მის გვერდით მუშაობა იუკადრისეს; როცა კონტრევოლუციის სახებაც არსად იყო, მაშინ ბურჟუაზიას კონტრრევოლუციონერებს უწოდებდნენ.

ვლ. სკობელევი ვაჭარ მრეწველების მიმართ ექსპროპრიაციას მოითხოვდა. მაგრამ განვლო სულ ნახევარმა თვემ და... რუსეთის დემოკრატიამ უანექსიობის და უკონტრიბუციობის პრინციპის დაცვას თავი დაანება. სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ უმეტესობას გული გაუტყდა.

სკობელევი ვაჭარ მრეწველთ მგრძნობიარე სიტყვებით მოლბობას უპირებს. მუშებს განუსაზღვრელ მოთხოვნილებების წარდგენას უსაყვედურებს. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას აუცილებლათ სთვლიან.. მოსკოვის ყრილობაზე სცდილობდენ ერთი სიტყვა გამოენახათ... რევოლუციამ დაჰგმო ძველი წესები, დემოკრატიას დღეს ნაწილობრივ მისი აღდგენა სჭირდება. ბეჭდვითი სიტყვის შებორკვა, ცენზურის შემოღება აი, მორიგი ნაბიჯები დროებითი მმართველობისა. დღეს დემოკრატია ყოველ წესრიგ-დაკარგულ ლაშქარს გარეშე მტერთან საბრძოლველათ მოუწოდებს. ამას წინათ ერთი რუსული გაზეთი სწერდა. „სამი წლის განმავლობაში ჯარის-კაცი რომ ცივ თხრილში იჯდა, მის გულში სადგურობდა ის რწმენა, რომ ომს გამარჯვებით დაამთავრებდა, რის გამოც მასაც რამე ერგებოდა. ახლა კი, უეცრივ გამოეცვალა რწმენა, ომით გამარჯვება უარყოფილია. ხალისი აღარ შერჩა ჯარისკაცს, მიზანი მოესპო“.

გერმანელთა შემოტევა და რიგის აღება თავზარს სცემს მთელ რუსეთს. რევოლუციის ძვირფასი სათაყვანო შინაარსი შეილახა: ცხოვრებაში ძველი გზა გამოჩნდა. დატყვევება, დატუსაღება, გამოუძიებლათ საპყრობილეში გაგზავნა...

დ.

ქართული პრესა.

მთიულთა ყრილობა.

ყოველგვარი მოვლენა, რომელიც კი პარტიათა თუ ერთა შემათანხმებელ ხასიათს ატარებს ღრმად უნდა აინტერესებდეს ქართველობას, რადგან შეთანხმებაშია საწინდარი ჩვენი მომავალი აღორძინებისა.

გაზ. „საქართველო“ გვაცნობებს რომ ს. ანდისში გახსნილა კავკასიის მთიულთა საერთო, ყრილობა. ყრილობას ქართველ ერის წარმომადგენელნიც დაესწრებიან. „საქართველო“ ითვალისწინებს წასულს მუშაობს შეთანხმებისათვის და ანდისის ყრილობაზე ასეთ შეხედულებას გვამცნევს:

ანდისის ყრილობას ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს: გარდა იმისა, რომ ყრილობა თავის თავად წარმოადგენს ჩვენთვის მისაბაძ მაგალითს, მას აქვს ერთი მხარეც, რომელიც უახლოესად უნდა აინტერესებდეს ქართველობას. ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით საქართველოს ჰმიჯნავს სწორედ მთიულეთი. მაშასადამე, მის საზღვრების დანიშვნაში ქართველთა შეხედულობას და აზრს დიდი მნიშვნელობა ექნება.

საზღვრების საკითხის გადაწყვეტა არც ისე რთული იქნებოდა, რომ თვით მთიულები ამ შემთხვევაში ერთ გარკვეულ აზრზე მდგარიყვნენ. საქმე იმაშია, რომ აქაც, როგორც ყველგან, მოიპოვება იმგვარი ნაწილი, რომლის მონათესავე მოაზროვნენი ხასიათდებიან თანდებული „პან“-ით. ამნაირად მიღებულ საზღვრებს ცოტა არ იყოს, გაფართოებული სახე ეძლევა და ეს ზედმეტი სწორედ საქართველოს ტერიტორიის შესუსტებით გამოდის. ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთები, რომელნიც ამოწმებენ, რომ ერთი, თუმცა მცირერიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი ნაწილი მთიულთა ჯგუფისა მოითხოვს, რომ მათ კავშირში მოჰყვეს, როგორც მასი შემადგენი ნაწილი ისე ქართლ-კახეთის ზოგიერთი კუთხე.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის რწმუნებულნი მთიულთა ყრილობაზე დაიცავენ ჩვენი პარტიის დამფუძნებელი კრების დადგენილებას საქართველოს საზღვრების შესახებ. ქართველი ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი წარმომადგენლები ყოველს შემთხვევაში ეცდებიან მეზობელ ერთან საპასუხისმგებლო მოლაპარაკებაში გამოიჩინონ იმდენი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, რომ ყრილობის დადგენილებანი შეეფერებოდეს ორივე მომიჯნავე ხალხის ღირსებას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მთიულთა დიდი უმრავლესობა ზურგს შეაქცევს ზოგიერთების პრეტენზიებს და თვის დადგენილებით დაანახვებს ქართველობას, რომ მათთან ჰსურს კეთილი და მეგობრული განწყობილება.

მიუხედავათ საპარტიათა და საერთაშორისო შეთანხმება გარეგნული შეურიგებლობისა, რომელიც ქართულს ცხოვრებას ემჩნევა, მის სიღრმეში სწარმოებს უჩინარი პროცესი შეთანხმებისა.

დღეს ქართველი პარტიათა ბრძოლა უფრო ზედაპირულია. და რა წამს დადგება დრო, როდესაც საჭირო იქნება მთელის არსებით განცდა სამშობლოს, ერის კეთილდღეობის საკითხისა, ჩვენ გვწამს, ქართველი საზოგადოება მონახავს შეთანხმების ნიადაგს და ამ შეთანხმებით უზრუნველჰყოფს სწორედ მის სანუკვარ, მთავარ მიზნებს, ჩვენის აზრით ეგ აუცილებელია. მხოლოდ სასურველია შეთანხმების ნიადაგის შორიან, ადრე ძებნა, რომ შეხედულება ჩვენი უფრო ღონიერი და გავლენიანი იქნეს. ამიტომ იყო, ჩვენი ბდიური ორგანიზაციები მუდამ სიხარულით ხვდებოდენ შეთანხმების გზის ძიებას. მიუხედავათ ამისა ცოტა დავიგვიანეთ. დღეს სწორედ ის გადამწყვეტი ხანაა რომლის გაშვება შეუძლებელია ჩვენი ერის ცხოვრებას მეტად და მეტად მძიმედ დააჩნდეს. დღეს რუსეთის რევოლუცია კრიტიკულ მდგომარეობაშია. ამას კარგათ ხედავს გაზეთი „ალიონიც“ და ასეთ მთავარ სამოქმედო მიზანს გვისახავს.

მიუცილებელი საჭიროა რევოლიუციის ადგილობრივ იმ შემთხვევისთვის, თუ ცენტრში რევოლიუცია დამარცხდა, რათა აქ მაინც-და მაინც შევინარჩუნოთ ის რაც რევოლიუციით ხალხმა მოიპოვა.

ასეთი დიდი საქმის ასრულება ვერ ძალუძს არა ერთ მარტო რომელიმე პარტიას, არამედ მარტო ერთ ერსაც. ამიტომ აუცილებელია შეთანხმება როგორც პარტიებისა, ისე ამიერ კავკასიაში მოსახლე ერთა. „ალიონი“ ამ ფაქტსაც აღნიშნავს და განაგრძობს:

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს, უკვე შეთანხმების საქმეს დაედვა საფუძველი და ვიმედოვნებთ, რომ დაწყებული მუშაობა აღარ შეჩერდება, არ შეჩერდება,—პირიქით იგი უნდა გაძლიერდეს, პარტიათა შორის შეთანხმებას უნდა თან სდევდეს ერთგვარის ეროვნულ ცენტრის შექმნა და ამ ცენტრმა უნდა ითავოს ეროვნულ ყრილობის მოწვევა, მანვე უნდა გამართოს მოლაპარაკება სხვა ერთან და მოაწყოს საერთაშორისო ყრილობა.

თუ წინათ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა შეთანხმება მხოლოდ ეროვნულ საკითხის გარშემო, დღეს იმზომ შეიცვალა საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, ისე გართულდა მებრძოლ მიმდინარეობათა განწყობილება, რომ მარტო ეროვნულ საკითხში შეთანხმებით ფონს ვეღარ გავალთ. დღეს საჭიროა შეერთებულისძალით გაშუქებულ და გარკვეულ იყოს თითქმის ყველა მორიგი საკითხი, ყველა ამ საკითხის გარშემო უნდა სწარმოებდეს თათბირი და მოლაპარაკება, უნდა ვცდილობდეთ თუ სავსებით ვერ შევთანხმდებით ყველა სადღეისო საკითხებში, შევიმუშავოთ ერთგვარი მინიმუმ-პროგ-რამა და საერთო ხაზი მოქმედებისა, რათა ცენტრს იერიშს ადგილობრივ ძლიერის კონტრ იერიშით ვუპასუხოთ...

უკრაინის შესახებ.

დრ. მმართველობა აქვეყნებს დოკუმენტალურ ცნობებს, რომელთაგან სჩანს, რომ უკრაინის გასათავისუფლებლათ ავსტრო-გერმანიის დიდი ორგანიზაცია

ჰქონდა შეკრული. ავსტრო-გერმანელებთან მოლაპარაკების მწარმოებლებათ და შუამავლებათ იყვენ გამოჩენილი უკრაინის მწერალ-მოღვაწენი და აგრეთვე პოლიტიკური ემიგრანტები: სკოროპისი, პოლტუხოვსკი, მილენევსკი, ჟუკი, დოროშენკო, დონცოვი, სილიზნიაკი. ორგანიზაცია დიდ ფულს ხარჯავდა უკრაინელ სამხედრო ტყვეთა შორის საგიტაციოთ. უკრაინელებისაგან ადგენდენ ტარას შევჩენკოს სახელობის პოლკს. ზოგიერთ უკრაინელს გზავნიდენ რუსეთში ზავის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევათ. ყოველი მათგანი ერთ დროულათ ღებულობდა 1000 მანეთს.

რევოლუციის ამბები.

პ. ღ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ბუნებისმეტყველთა კრება.

მოსკოვი. ავგისტოს 20. გაიხსნა ბუნებისმეტყველთა და მკურნალთა ასოციაციის კრება, თავმჯდომარეობს პროფესორი ანუჩინი.

„სტაროობრიადცების" კრება არ შესდგა.

მოსკოვი. ავგისტოს 22. სრულიად რუსეთის „სტაროობრიადცების" ბელოკრინიცის ეპარქიის კრება არ შესდგა, რადგანაც ხალხი ცოტა დაესწრო დამსწრეთ გამართეს კერძო თათბირი.

ყაზახთა დადგენილება ერობის შესახებ.

ნოვოჩერკასკი. ავგისტოს 21. ჯარის მთავრობამ კალედინის თავმჯდომარეობით ხელმეორედ იქონია მსჯელობა ერობის დებულების შემოღების შესახებ დონზე. დაადგინეს — ეთხოვოს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს დროებით შეაჩერონ ერობის დებულების შემოღება დონზე, ვიდრე შეცვლილი და შევსებული არ იქნება ზოგიერთი მისი მუხლი.

რკინის გზის გაფიცვის გარშემო.
სადგურ პოკროვსკის მოსამსახურეთა დადგენილება.

სარატოვი. ავგისტოს 21. პოკროვსკის სადგურის რკინის გზის მოსამსახურენი და ხელოსნები ამით აცხადებენ, რომ ბრიგადების განზრახვა გაფიცვაზე დღევანდელს პირობებში ყოვლად შეუწყნარებელია და ამიტომ იწვევს ამხანაგებს ხელი აიღონ გაფიცვაზე.

სავინკოვის დათხოვნა.

პეტროგრადი. ავგისტოს 22. დროებით მთავრობის დადგენილებით ვაჟკოვბა მრეწველობის მინისტრის ამხანაგი სავინკოვი თანახმად თავის თხოვნისა. დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას ბრალდება

პეტროგრადი. ავგისტოს 21. ბრეშკო-ბრეშკოვსკაია გაზეთ „ვოლია ნაროდა"-ში ჰბეჭდავს ღია წერილს პარტიის საბჭოსადმი, ბრალსა სდებს მათს გაზეთსა „დელო ნაროდა"-ს გერმანოფილობასა და ციმერვალდიზმსა და აგრეთვე იმაში, რომ მან არ გააძევა თავის წრიდან პოვისლოვსკი, როგორც ძველი რეჟიმის „მთავრობის უწყების" თანამშრომელი, აბრალებს შენ-ჩემიანობას სიის შედგენაში დამფუძნებელ კრებისათვის და, დასასრულ, აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან იმოქმედოს მათთან ერთად, მაგრამ იტოვებს კი უფლებას იმუშაოს პარტიაში როგორც მართლმორწმუნე წევრი.

გლეხთა ახალი კრება.

პეტროგრადი. ავგისტოს 22. ენკენისთვის 25 პეტროგრადში დანიშნულია მეორე კრება სრულიად რუსეთის გლეხთა წარმომადგენლებისა მოსალაპარაკებლად: დაცვაზე, სასურსათო საქმეზე, საადგილ-მამულო კომიტეტებზე და დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნებზე. კრებას შეიძლება დაესწროს თითო წარმომადგენელი 150.000 გლეხიდან.

ჯარში გაწვეულთა ოჯახების მუქარა.

კიევი. ავგისტოს 22. ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებაზე ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარების აღმოჩენაზე თათბირის დროს დარბაზში საოცარი ჯარის კაცთა ცოლებმა აურ-ზაური ასტეხეს. უკუაგდებდნენ ხმოსნებს და ფულის დაუყონებლივ მიცემას მოითხოვდნენ. მილიციამ და ყაზახობამ მალე დააშოშმინა აღელვებულები. საბჭომ მათთვის 800.000 მანეთი გადასდო ერთი თვით.

გლეხებმა შესწირეს 1881 ფ. პური.

დვინსკი. ავგისტოს 21. გურკოვსკის ვოლოსტის, ბობრუისკის მაზრის გლეხებმა შესწირეს ფრონტის საჭიროებისათვის 1881 ფუთი პური.

თავისუფლების პირველი სესხი.

პეტროგრადი. ავგისტოს 21. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ბანკში და მის განყოფილებაში ხელი მოუწერიათ პირველ თავისუფალ სესხზე 236 მილ., ხოლო კერძო ბანკებში — 1.300 მილიონმან.

კანონი პეტროგრადის დაცლის შესახებ.

პეტროგრადი. ავგისტოს 22. დროებით მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიიღეს კანონი პეტროგრადის დაცლის შესახებ, რომლითაც ევალება შინაგან საქმეთა მინისტრს მიიღოს ზომები გადაიტანოს პეტროგრადიდან რუსეთის სხვა ადგილებში სამკურნალო დაწესებულებანი თუ ქენონები და გადაასახლოს ქალაქიდან ის პირნი, რომელნიც ცნობილნი არიან, როგორც კონტრ-რევოლუციის მომხრენი.

მთავარ-სარდალს პეტროგრადის სამხედრო ოლქისას ევალება დაუყონებლივ მოიყვანოს ცნობაში რიცხვი პეტროგრადში მცხოვრებ სავალდებულო მხედრებისა.

აღიკრძალება აგრეთვე, სანამ ომია, პეტროგრადში შესვლა, თუ არ საგანგებო მოწმობით და ისიც, თუ აუცილებლად საჭიროა ეს საგუბერნიო და საქალაქო კომისარებისგან და საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებისგან. სამხედრო პირებს მოწმობას აძლევს სამხედრო კომიტეტი.

პეტროგრადის დაცვისათვის.

პეტროგრადი. ავგისტოს 22. მოხდა სხდომა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსი. **ბოლდანოვმა** წაიკითხა მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტის სახით რიგის ფრონტის მდგომარეობის შესახებ და თან წარადგინა ტელეგრამები კომისარის თანაშემწის ვოლტინსკისა. ჩხეიძის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს დახოცილთა ხსოვნას. თავის მოხსენებაში ბოლდანოვი ეხება დემოკრატიის მძიმე მდგომარეობას, რადგანაც ფრონტის მძიმე მდგომარეობით, ეჭვი არ არის, შეეცდებიან ისარგებლონ მტრები. მუშათა კლასი და არმია უნდა შეეწყვნენ ერთმანეთს და მიიღონ წინასწარი ზომები. არმია დღეიდანვე უნდა შეუდგეს მზადებას და ისე მოაწყოს პეტროგრადი და მისი გარნიზონი, როგორც საჭირო იქნება ეს ხალხისა და სარევოლუციო რუსეთისათვის. არმია უნდა შეიცავდეს საომარ ძალას. პეტროგრადის გარნიზონმა უნდა თავს იდვას მძიმე საჭარაულო სამსახური სატახტო ქალაქის დასაცველად, მუშებმა — წარმოებათა დაცვა, პროფესიონალმა კავშირებმა და საქარხნო კომიტეტებმა დაუყონებლივ უნდა ცნობაში მოიყვანონ მუშების რიცხვი, აღნიშნონ ქარხნების სამუშაო ადგილები, გაათვალისწინონ საჭიროები. მოსკოვის თათბირის შესახებ მომხსენებელმა სთქვა, მან გვიჩვენა დემოკრატიის ერთობა-ზიარობა და სიმტკიცე. „ბოლშევიკების" რეზოლუცია, რომ პროტესტი გამოეცხადოს აღმასრულებელ კომიტეტს თათბირზე მონაწილეობის მიღებისათვის და ბურჟუაზიასთან შეთანხმებისათვის, უარყოფილ იქმნა. მიიღეს რეზოლუცია „მენშევიკებისა" და ს.-რევოლუციონერებისა, რომ მუშები და ჯარისკაცნი უნდა შემოკრბნენ სარევოლუციო დემოკრატიის ორგანოთა გარშემო, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს მთავრობაც ქვეყნის დასაცველად და რევოლუციურ შენაძენთა განმტკიცებისათვის. აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები პეტროგრადის გარნიზონისა და მუშების დაუყოვნებლივ ორგანიზაციისათვის.

პეტროგრადის საფრთხე.

პეტროგრადი. ავგისტოს 21. მთავარშტაბის უფროსმა **რომანოვსკიმ** ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს განუცხადა: მძიმე მდგომარეობა რიგის ფრონტისა სრულიადაც არ უქადის საფრთხეს პეტროგრადს, ვინაიდან შემოდგომა მოახლოვებულია და თანაც თუ მხედველობაში მივიღებთ სიშორეს — იმედი უნდა გვქონდეს, რომ პეტროგრადამდის საფრთხე თავს წამოეყობდა გერმანელებს, რომ ჯარის გადმოსხმა შესძლებოდათ, მაგრამ ეს კი შეუძლებელია.

დისციპლინის აღდგენისათვის.

პეტროგრადი. ავგისტოს 22. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: გაადიდოს სასჯელი სახელმწიფო იარაღისა და ქონების გაფუჭებისათვის ყოველივე უფლების მოსპობიდან 4—6 წლის საკატორღო სამუშაომდე. აიკრძალოს როგორც ფრონტზე, აგრეთვე კაზარმებში, შტაბებში, სამმართველოებში და სამხედრო უწყების სხვა და სხვა დაწესებულებებში ყოველივე თამაშობა ბანქოსი. ამასთან ერთად აიკრძალოს სათამაშო ქაღალდების გაყიდვა ფრონტზე. ყოველივე ამ დადგენილების დამრღვევი მოქალაქე სამხედრო სასამართლოს გადაეცემა.

სუხომლინოვის გასამართლება.

პ. ღ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი:

მოწმე ანდრონიკოვი.

პეტროგრადი. ავგისტოს 21. როგორც ჩვენებიდან ირკვევა, ანდრონიკოვი გაცნობილი ყოფილა ბევრ სახელმწიფო მოღვაწესთან, ჰქონდა მათთან მიწერ-მოწერა, ხშირად თავის აზრსაც გამოსთქვამდა ამა თუ იმ პირის მინისტრად დანიშვნაზე და სხვათა შორის, სწერდა კოკოვცევს და გორემიკინს, რომ საჭიროა დათხოვნილ იქმნას ფინანსთა მინისტრი ბარკი, როგორც მავნებელი კაცი რუსეთისათვის. თავადი ანდრონიკოვი კარგად იცნობდა აგრეთვე რასპუტინს, რომელიც ხშირად დაიარებოდა მასთან. ცხადია ამით აიხსნება ის გავლენა, რომელიც ჰქონდა ანდრონიკოვს უმაღლეს წრეებში. მას ხშირად მიმართავდენ თხოვნით — დაგვეხმარეთო, მაგალითად, სამსახურიდან გადამდგარი გენერლები. წაიკითხეს მთელი რიგი წერილებისა სხვა და სხვა პირებისა ანდრონიკოვისადმი.

მოწმე კოლომნინი და მისი წერილი.

წაიკითხეს წერილი კოლომნინისა, სუხომლინოვის ადიუტანტისა. სუხომლინოვმა თურმე იმისთვის მიიწვია იგი თავის ადიუტანტად, რომ კოლომნინი იყო ბებერი სუვორინის შვილის შვილი და სუხომლინოვს მისი შემწეობით სურდა რამე გავლენა მოეპოვა გაზეთ „ნოვოე ვრემიაზე", ხოლო როცა საჭიროებამ გაიარა და კოლომნინი მასთვის მეტი იყო, სუხომლინოვმა იგი დაითხოვა. კოლომნინი დაწვრილებით უამბობს სასამართლოს, რომ სუხომლინოვს გარს ეხვივნენ ვიღაც საეჭვო პირებიო. სხვათა შორის მეც ვერიე იმათ რიცხვში, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ სუხომლინოვს სამსახურში მიეღო თავისთან მიასოედოვი. რაც შეეხება სუხომლინოვის შინაურ ცხოვრებას, უნდა ვსთქვათ, რომ სუხომლინოვები ხელგაშლით ცხოვრობდნენო. სუხომლინოვისა დიდ ფულებს ჰხარჯავდა ჩაცმა-დახურვაზე და საზღვარ-გარეთ წასვლა-მოსვლაზეო. წაიკითხეს კოლომნინის ცოლის წერილი რომელშიაც იგი ამავე ამბავს ამოწმებს.

ზოტოვის ჩვენება.

ყველაზე ბოლოს ჰკითხეს ზოტოვს, სუხომლინოვის ყოფილ მდივანს. მან განაცხადა, რომ სუხომლინოვს გარს ეხვია ვიღაც საეჭვო პირები და ცხოვრებითაც ხელ-გაშლით ცხოვრობდნენო. სხდომა გათავდა.

ეროვნული კითხვა.

პ. ღ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ახალი სეკრეტარიატის შედგენა

კიევი. ავგისტოს 21. შესდგა თათბირი უკრაინის გენერალურ სეკრეტარიატისა ვინნიჩენკოს თავმჯდომარეობით სეკრეტარიატში ჯერ ჯერობით შედიან შემდეგნი პირნი: სტეშენკო — სეკრეტარი სახალხო განათლებისა; სავჩენკო ბელსკი — მიწის საქმისა და მისი თანაშემწე — მარტოსი; შულგინი — საეროვნო საქმეთა და მის ამხანაგად — ზილბერფარბი და მიცკევიჩი; ზარუბინი-გენერალური — კონტროლიორი; ტუგან-ბარანოვსკი — ფინანსების სეკრეტარი; სტებლიცკი — კომისარი უკრაინის საქმეთა და დროებით მთავრობის წინაშე; ჩერნოვმა — უარი სთქვა ვაჭრობა-მრეწველობის სეკრეტარობაზე, თავისუფალია აგრეთვე შრომის სეკრეტარის ადგილი.

პოლონეთის რადა.

მოსკოვში გაიმართა პარტიათაშორისი სხდომა პოლონეთის რადისა, წაიკითხეს რეზოლუცია პოლიტიკურის კრებისა რადის უმაღლობელეს საქმეთა: 1) რადამ უნდა მოიპოვოს პოლონეთს უფლება, იყოლიოს საკუთარი წარმომადგენელი საზავო კონგრესზე. 2) მხარი დაუჭიროს პოლონეთის მთავარ სამხედრო კომიტეტს, რომ დაუყონებლივ გამოყოფილ იქმნენ პოლონელები რუსეთის ჯარიდან ცალკე ჯარებად სრულის დისციპლინით და შეიარაღებით. 3) გააცნოს მეომარი და ნეიტრალი სახელმწიფონი პოლონეთის საკითხს და იმ მიზნებს, რომელთა შესრულება დაევალება მას ევროპის მომავალ წეს-წყობილებაში. 4) მიაწოდოს სწორი ცნობანი კოალიციის ხალხებს პოლონეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და გააბათილოს ის ინტრიგები გერმანეთის მხრიდან, რომლითაც ცდილობენ შუღლი ჩამოესლონ პოლონეთსა და კოალიციის ხალხთა და რუსეთის ზოგიერთ წრეებს შორის. 5) შეუწყოს ხელი თავისუფალ რუსეთს სამართლიანი ზავის შეკვრაში. 6) მიღებულ იქმნას ყოველი ზომა, რომ სახელმწიფოთა შორის მოსალოდნელ ხელშეკრულებებში გარკვევით იყოს აღნიშნული პოლონეთის საკითხის ყოველი წვლილი.

უ ც ხ ო ე თ ი.

პ. ღ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ინგლისელები ვილსონის ნოტის შესახებ.

ლონდონი. ავგისტოს 21. სესილმა პაპის საზავო ნოტის შესახებ ვილსონის პასუხის გამო სთქვა: „პრეზიდენტის ნოტა არ ეწინააღმდეგება მოკავშირეთა იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც პარიზის კონფერენციაზე იყო გამოჭყვენებული და რომელსაც მოგერიებითი ხასიათი აქვს და არა აგრესიული. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ეკონომიურ მოსაზრებებს და ვამართლებთ ჩვენ საქციელს, რომ ყოველივე კანონიერ საშვალებით ვებრძვით და ვარღვევთ მტრის ეკონომიურ ძალებს. ვესალმებით შეერთებულ შტატების ენერგიულ პოლიტიკას სხვა და სხვა ეკონომიურ საკითხებში. გერმანელებს ავიწყდებათ, რომ მილიტარისტულ პოლიტიკის წარმოების გამო აიმხედრეს ისეთი ძალები, ვისაც ეკონომიური რესურსები გაცილებით მათზე მეტი აქვთ. თუ ომი კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდება — ცენტრალ სახელმწიფოებს მთელი ქვეყანა აუჯანყდება".

არეულობა ჩეხეთში.

ბერნი. ავგისტოს 20. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩეხიის ქარხნებში მუშების არეულობა უნგრელ პოლკებმა ჩააქრესო. მსხვერპლი დიდია. პრაგაში მოკლულია 80, მრავალიც დაჭრილია.

პაპის ახალი წინადადება ზავზე.

ნიუიორკი. ავგისტოს 21. „ასსოსიეიტიდ პრეს" იტყობინება: იტალიის ელჩმა მიიღო ვაშინგტონში ცნობა რომიდან, რომ პაპა ამზადებს ახალს საზავო წინადადებას. ცნობა იუწყება, რომ პაპის საზავო პროგრამა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რა გარემოებაში იქნება გერმანეთი. იგივე ცნობა იუწყება, რომ ტერიტორიათა განსაზღვრის შესახებ პაპა ამზადებს ისეთს პროექტს, რომელიც მისაღები იქნება მოკავშირეთაგან. ვატიკანს იმედი აქვს აგრეთვე, ისეთი წინადადება შეიტანოს თავის საზავო პროგრამაში ელზას ლოტარინგიის შესახებ, რომელიც მისაღები იქნება საფრანგეთისთვისაო.

იაპონიის ახალი ზე — დრედ-ნოუტი.

ტოკიო. ავგისტოს 16 (დაგვიანებულია გზაში). დღეს კურეში დაიწყეს ახალი ზე დრედნოუტის „ნაგატოს" აშენება. ზე დრედნოუტს წყალწყვა ექნება 32.000 ტონი და მზად იქნება 8 თვის შემდეგ. დრედნოუტზე დასდგამენ 12—16 დიუმიან ზარბაზანს.

მსოფლიო ომი.

პ. ღ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

რიგის აღება

გერმანელების შემოტევა

პეტროგრადი. ავგ. 21. ჩრდილოეთის ფრონტის მთავარ-სარდალთან მყოფ კომისრის თანაშემწე ფონტინსკი დეპეშით სხვათა შორის შემდეგს იტყობინება: ავგ. 19 მტერმა უძლიერესი საარტილერიო ცეცხლით შესძლო მდინარე დვინაზე გადმოსვლა. ჩვენ ზარბაზნებით გადმოსვლაში ხელი ვერ შეუშალეთ, რადგანაც მრავალი მათგანი მტერმა დაამტვრია. მტერი მახრჩობელა გაზის ყუმბარებსაც ბლომად ხმარობდა. ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია. მდგომარეობის აღსადგენად ახალი ძალები მივაშველეთ. სხვათა შორის კომიტეტის წარმომადგენლები ბრძოლის რაიონში იმყოფებოდნენ. მტერმა უძლიერეს არტილერიით და ქიმიური ყუმბარებით მთლად ჩაახშო ჩვენი ზარბაზნები. თხრილების პირველი წყება მტრის არტილერიამ დაანგრია და ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ამასთან ჯარის ზოგიერთი ნაწილი მთლად გაიფანტა, რამაც ხელი შეუწყო გერმანელებს. მათ გასდეს ხიდები და მალე დვინს მარჯვენა მხარეზე მოექცნენ. ახლად მოშველებული ჩვენი ჯარი შუადღემდის იბრძოდა. ალაგ-ალაგ მტერს ხიშტებით მდინარისაკენ ერეკებოდა და დიდ სიმამაცესაც იჩენდა. ერთი პოლკთაგანი თითქმის მთელი დღე იბრძოდა. ჩვენი დანაკლისი დიდია. მაგრამ ჯარის სულით განწყობილება კი ძლიერია. ჯარის კაცების დაჭრილი ამხანაგები და ოფიცრები თვითონვე გამოჰყავდათ. აღსანიშნავია მედგრობული მოქმედება ჯარის-კაცების და კომიტეტებისა. დასასრულ ფოიტინსკი იტყობინება: მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ ლაშქრის მიერ განცდილი მძიმე ჟამი თავზარს ნუ დაგვცემს და სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემითო.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. ავგისტოს 21. ოფიციალი. მდ. ენის ფრონტზე სერნისა და იურტებიზის შორის მტრის საარტილერიო მოქმედებაა. იურტებიზის დასავლეთით გერმანელები ოთხჯერ შეეცადნენ იერიშის მიტანას, მაგრამ მოვიგერიეთ. აილის ზეგანზეც მტერს მხოლოდ მარცხი ჰხვდა. მაასის მარჯვენა მხარეზე სამონის ფრონტით დიდი საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა. ლიმეს ჩრდილო-დასავლეთით ვევრთან თავდასხმა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. გერმანელთა ჰაეროპლანებმა დიუკირხენისა და ბელფორს სროლა აუტეხეს, დიუკირხენში რამდენიმე მოქალაქეა მოკლული.

გერმანელ მფრინავების მოქმედება ინგლისში.

ლონდონი. ავგისტოს 21. დედაქალაქის ლაშქრის უფროსმა განაცხადა: ავგისტოს 20 საღამოს 11 საათზე მტრის ჰაეროპლანებმა კენტზე გადაიარეს და რამდენიმე ყუმბარაც ესროლეს. ზარალი უმნიშვნელოა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ავგისტოს 21. ავგისტოს 19 ჩვენ მონტე სან-გაბრიელის ჩრდილო-კალთების პირდაპირ და ტრიკოლის ჩრდილო-დასავლეთით მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. სან-გაბრიელესთან მდგომ მტერს ჩვენმა მფრინავებმა მარჯვე სროლა აუტეხეს ბრესტოვიცის ღელეში ჩვენ ასპარეზი გავაფართოვეთ და მრავალი ტყვე და სამხედრო მასალა ვიგდეთ ხელში.

რომი. ავგისტოს 21. ზემო ვერბაზუ ღელეში, ალპის მსროლელთა რაზმებმა დაიჭირეს ავგისტოს 14-ს დატოვებული ასპარეზები და მტრის მეციხოვნენი ტყვედ წამოიყვანეს.

ახლო-აღმოსავლეთი

რომი. ავგისტოს 21. ცრნის მოსახვევში ჩვენებმა მოკავშირეებთან ერთად „1050" სიმაღლე დაიჭირეს.

რუმინეთის ელჩის პროტესტი.

პეტროგრადი. ავგისტოს 21. რუმინეთის ელჩმა პროტესტი შეიტანა გარეშე საქმეთა სამინისტროში გერმანეთის ადმინისტრაციის მოქმედების წინააღმდეგ რუმინეთის დაპყრობილ ადგილებში: 1) რად მისცა ნება ბუქარესტის მთავარ ბანკს გამოსცეს ბანკნოტებით. რომლის გამოცემის უფლება მარტო რუმინეთის ეროვნულ ბანკს ჰქონდათ და 2) რად ჩამოართვა ქონება რუმინეთის ეროვნულ ბანკს, რომელიც კერძო დაწესებულებად ითვლებაო.

100.000 ფუთი პურის ჩამოტანა გლეხებისაგან.

ხარკოვი. ავგისტოს 20. გაიგეს თუ არა სასურსათო მინისტრის ტელეგრამის შინაარსი, რომ ჯარს შიმშილი მოელის თუ პურს არ მივაწვდითო, გლეხებმა მოუზიდეს პურის ჩამოზიდვა ფრონტზე გასაგზავნად. მოზიდულია 100,000 ფუთი.

დაძმობილებისათვის დასჯა.

მოლოდეჩნო. ავგისტოს 19. მტერთან დაძმობილებისათვის სამხედრო-სასამ-

ვოლუკიო სასამართლომ მიუსაჯა: ხუთს 10 წლით კატორღა, 4 სატუსაღო განყოფილება და 2 გაამართლა.

სრულიად რუსეთის სამხედრო კონფერენციის წინააღმდეგ.

მინსკი. აგვისტოს 20. დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა წარმომადგენელთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს იმ კონფერენციაზე, რომელსაც იწვევს სრულიად რუსეთის სამხედრო კავშირი.

გ. პლეხანოვის დეპეშა გედს.

„რუსეთის მარქსისტული ორგანიზაციამ „ედინსტვომ" ესეც არის თავის კონფერენციაზე თავის აზრი გამოსთქვა სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციის წინააღმდეგ, რომელიც დამღუპველ გავლენას მოახდენს რუსის ჯარზე, რასაც შემდეგათ მოჰყვება უბადრუკი კომპრომისი გერმანეთი იმპერიალიზმის აგენტებთან, შეიდემანსა და მისკომპანიასთან, ამ გაბოროტებულ მღვენელებთან გერმანეთის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიისა. საერთაშორისო სოციალიზმის გულისათვის, მე ვევედრები ფრანგ ამხანაგებს, მ იი ქცნენ ისე, როგორც მოვიქეცით ჩვენ რუსეთში და როგორც მოიქცა გერმანეთში მერინგი თავისი მეგობრებით.

უკანასკნელი დეპეშები.

რიგის დაცლა.

პეტროგრადი. აგვისტოს 21 (დაკავებულია სამხედრო ცენზურის მიერ). დამით ჩვენმა ჯარმა რიგა დასცალა. დილის ათ საათზე რიგაში გერმანელთა ჯარი შემოვიდა. რიგის ყურეში კი გერმანელთა გემები ჩადგენ.

ფრონტის გარღვევა 60 ვერსის მანძილზე.

პეტროგრადი. აგვისტოს 22 ორი დღეღამის განმავლობაში რიგის ფრონტი უფრო გაირღვა და გაფართოვდა სამოც ვერსტის მანძილზე უსტ დვინსკი სულ დაცლილია გუშინ საღამოს აქეთ. შუადღეზე, როდესაც შევატყვეთ, რომ რიგის დაცვა უნაყოფო იქნებოდა, სიმაგრეები ავაფეთქეთ.

გერმანელებმა მდ. აა გადმოლახეს.

პეტროგრადი. აგვისტოს 22. რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდინარე ლიფლიანდიის აზე გადავიდა და ახლაც განაგრძობს სვლას რიგის ყურის სანაპიროებით ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. პსკოვის შარა გზისა და მდინარე აას რაიონში მტერი შეტევას განაგრძობდა. მან რიგის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსტზე აბრანტ-მიუი ხინცენბერგთან მდინარე აა გადმოლახა. ჩვენმა ჯარმა, რომელიც რიგის აღმოსავლეთით მოქმედებდა, მტრის შემოტევის გამო ზეგევალ-ლემბურდეც-შუბრაზდისკენ დაიხია, 21 აგვისტოს რიგის ყურიდან ნაპირებზე ტყვები გერმანელთა წყალქვეშა გემებს დაუშინიათ. დვინის მიმართულებით მედგარი საარტილერიო სროლაა. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა.

რუმინეთის ასპარეზი.

სლობოძეის რაიონში მტერი შეტევას განაგრძობს. მან ორი სიმაგრე დაიჭირა, მაგრამ ჩვენებმა კონტრ-იერიშების წყალობით უკანვე დაიბრუნეს. მდგომარეობა ძველებური აღვადგინეთ. ტყვედ ვიგდეთ 200 კაცი.

კავკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა არ შეცვლილა.

საფრანგეთის ასპარეზი.

ლონდონი. 22 აგვისტო. წინადღით ლანსის ჩრდილოეთით ჩვენ მოულოდნელად თავს დავესხით მტერს. დიდძალი გერმანელი დავხოცეთ და ტყვედ წამოვასხით. ლაბაგოე-ლაასის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ მტრის შემოტევა მოვაგერიეთ. იპრის ჩრდილო აღმოსავლეთით მტერი ღამის განმავლობაში ენერგიულად მოქმედებდა. ზიულეინის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ.

ახალი მადნები.

პერმი 22 აგვისტო. ამერიკას გაემგზავრა ამერიკელ ინჟინერთა ჯგუფი, რომელმაც ურალის ჩრდილოეთით და მდინარე პეჩორას სათავეში აღმოაჩინა ვოლფრამისა, ოქროსი და პლატინის დიდძალი მადანი. ფიქრობენ მოსავალ წლისთვის შეუდგენ მადნების დამუშავებას და აგრეთვე განაგრძონ ახალ მადნების ძებნა.

ყაზანის ამბების გამო

პეტროგრადი, 22 აგვისტო. დროებითმა მთავრობამ დადგინა ყაზანის თოფისწამლის ქარხანაში ცეცხლის გაჩენის ყველა მიზეზთა გამოსაკვლევად შეადგინოს საგანგებო საგამომძიებლო კომისია შემდეგ მთავარ საფუძვლებზე აგებული:

1) კომისია შესდგება ყაზანის სოლქო სასამართლოს წევრის გოტმანის თავმჯდომარეობით. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სასამართლოს ერთი გამომძიებელი, რომელიც ყაზანის პალატის პროკურორის მიერ იქნება დანიშნული, ერთი სამხედრო გამომძიებელი მთავარ სამხედრო პროკურორის დანიშვნის მიხედვით და თითო წარმომადგენელი თოფისწამლის ქარხნებისა და ადგილობრივ და სოლქო საარტილერიო საწყობი.

2) კომისიას უფლება ეძლევა დაავალოს საგამომძიებლო კომისის წევრებს, რათა ყოველმა მათგანმა ცალკე გამოძიება მოახდინოს ხოლო კომისია გამოძიებას მოახდენს ყაზანის სამოსამართლო პალატის პროკურორის ხელმძღვანელობითა და დაკვირვებით.

ზემო აღნიშნულ კომისიის აქტებს მიეცეს წინასწარ გამოძიების აქტების ძალა. ხოლო კომისიას უნდა ქონდეს ყველა უფლება. რომელიც კი აქვთ სასამართლოს გამომძიებლებს სისხლის სამართლის კანონების საფუძველზე. ეს დადგენილება უნდა განხორციელდეს დეპეშის მიღებისთანავე.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი 20 აგვისტო. სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა პასპორტების მიღების სიძნელისა გამო კონფერენციის მოწვევაზე უარი განაცხადა.

გენდერსონმა სთქვა კონფერენცია ვერ მოხდება, სანამ მოკავშირე სახელმწიფოთა მუშები საერთო ნიადაგს არ მონახავსო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ილიას პანაშვიდი. კვირას აგვისტოს 27-ს ქუთაისის საკათედრო ტაძარში შუადღის საათის 12-ზე. გარდახდილ იქნება პანაშვიდი **ილია ჭავჭავაძის** სულის მოსახსენებლათ, სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე გამოცხადდება.

◆ **ქალთა მებრძოლ რაზმის შესახებ.** რუსეთის ლაშქარის უმაღლესმა მთავარ-სარდალმა სამხედრო საბჭოსთან ერთად განიხილა ქალთა მეომარ ბატალიონების შედგენის კითხვა და შემდეგი დადგენილება გამოსცა.

1. ქალთა ბრძოლის ველზე საომრათ გაგზავნა შეჩერდეს.

2. ის ქალები, რომლებიც ამჟამათ უკვე ბრძოლის ველზე არიან: და შემდეგ ისინი ჩააყენონ გზების და ხიდების დასაცავად..

3. უმთავრესად ომში ჩაწერილი მოხალისე ქალები უნდა მუშაობდეს სასანიტარო საქმეებში.

◆ **ქართველ ჯარის კაცების გაგზავნის შეჩერება.** კავკასიის ლაშქარის მთავარ სარდალმა განკარგულება გამოსცა, რომ ქუთაისში მყოფ 115 ქვეითა სათადარიგო პოლკიდან ქართველ ჯარის კაცების ბრძოლის ველზე გაგზავნა შესაფერ განსაკუთრებულ განკარგულებამდე შესწყდეს. ქართველ ჯარის კაცებს თავი მოეყარონ ერთ ერთ ბატალიონებში, ამ განკარგულებას ასლი ეგზავნებათ ამიერ კავკასიის ლენ. ვაჩნაძეს, ქუთაისის გარნიზონის უფროსს 115 ქვეითა სათადარიგო პოლკის კომანდირს.

◆ **ინსპექტორის თანამდებობის გაუქმება.** კლასიკურ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და მშობელთა წრემ იქონია მსჯელობა სასწავლებლის დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობის შესახებ. პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმებულ იქმნას გიმნაზიაში ინსპექტორის თანამდებობა, როგორც პოლიტიკური დარგი და შეუფერებელი დემოკრატიულად მოწყობილ სასწავლებლისთვის: 2. ჯამაგირი მოსამსახურეებს (დარაჯებს) თვეში 80 მან. გაუხდა.

◆ **ცნობები და თხოვნები ქუთ. გუბერნიის კომისარს.** საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის იმერეთის სამღვდელოებას დროებითი მმართველობა აუწყებს გუბერნიის კომისარს ბ-ნ გრ. გიორგაძეს, რომ აგვისტოს 30 ს ქუთაისში და გურია-სამეგრელოში დანიშნული იმ პირთა არჩევანი, რომელნიც წარმომადგენლებათ უნდა გაიგზავნონ თბილისს 8 სექტემბრისთვის დანიშნულ სრულიად საქართველოს კათალიკოსის არჩევნებში, იმერეთის სამღ. დროებითი მმართველობა სთხოვს კომისარს, რომ ამ დღეს მაზრის კომისარებმა და მილიციის უფროსებმა დახმარება აღმოუჩინოს სამღვდელოებას არჩევნების წესიერათ მოხდენაში. გუბერნიის კომისარმა შესაფერი განკარგულება უკვე გასცა მაზრის კომისარებს და მილიციის უფროსების საყურადღებოთ.

შაბათს 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე

რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება მოწაფეთა (განურჩევლად სქესისა)

საზოგადო კრება.

კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენება საორგანიზაციო საკითხებზე, კრებაზე დასწრება ყველასთვის სავალდებულოა. **მოწაფეთა პრეზიდიუმი.**

◆ **მასწავლებლების დანიშვნა.** კლასიკურ გიმნაზიაში რუსული ენის მასწავლებლებათ დაინიშნა. 1. კონ. ლომთაძე, 2, მისაბიშვილი. 3. მათემატიკისა-კუჭუხიძე, 4. სამღვთო სჯულის მასწავლებლათ განჯის გიმნაზიის მასწ, მღ. აბესაძე.

◆ **ყაჩაღობა.** ბაღდათის რაიონის კომისარი გუბერნიის კომისარს შემდეგს ატყობინებს. „უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა და სისტემატიური ხასიათი მიიღო ყაჩაღობამ. ბაღდათის და აბასტუმანის გზაზე ახალციხიდან გადმოსული ოსმალნი თავს ესხმიან გამვლელ-გამომვლელს და სძარცვავენ. მთებში მიუხდენ მწყემსებს, გაირეკეს საქონელი (ცხენები და ხარები), ერთი მწყემსთაგანი მსუბუქათ დასჭრეს და თოფი წაართვეს, აგრეთვე ფულათ წაიღეს 400 მან. ყაჩაღები ავიწროვებენ მხოლოთ ქრისტიანებს. მოთარეშე ყაჩაღთა რიცხვი 40—60 კაცს აღემატება. ბაღდადის კომისარი იუწყება, რომ ადგილობრივი მილიცია მცირე შემადგენლობის გამო მათთან ბრძოლაში უძლურია და საჭიროა მილიციის რაზმის გაძლიერება.

◆ იგივე ბაღდადის კომისარი იტყობინება, რომ „საბეგროვის" მთაში თავს დაეცენ მწყემსებს, წაართვეს ცხენი და ფული.

◆ **ბაღდათ-აბასთუმანის გზაზე ყაჩაღობის გამო.** გუბერნიის კომისარმა, ბ-მა გრ. გიორგაძემ განიხილა ბაღდათის კომისარის მოხსენება ბაღდათ-აბასთუმანის გზაზე სისტემატიურ ყაჩაღების შესახებ და საჭიროთ სცნო თავდამცველ რაზმის გაძლიერება. ამის გამო კომისარმა მიმართა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სთხოვა გამოგზავნოს კომისარის განკარგულებაში ორი როტა ჯარი, რომლისთვისაც განსაკუთრებული სადგომი იქნება დათმობილი. ვიდრე ამ კითხვას განიხილავდეს მუშ. და ჯარ. კაც. საბჭო, კომისარი თხოულობს, მას განკარგულებაში მიეცეს 40 კაცი.

◆ **ხმის გავრცელება.** გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა ბაღდადის გზაზე დელიჟანს თავს დაესხნენ და გაძარცვესო.

◆ **მომრიგებელ მსაჯულის გადაყენება.** ქუთ. საგუბ. აღმ. კომიტეტმა გადააყენა მომრიგებელი მსაჯული ვოსკრესენსკი და მას წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში ქუთაისი დასტოვოს.

◆ **საქმის გადაცემა.** ტრაღიკულათ მოკლულ სოფ. დიდი-ჯიხაიშის თავმჯდომარის მასწ. **ილია ქუთათელაძის** საქმის გამოსაძიებლათ გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ გადასცა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის განსაკუთრებულ მონდობილობათა მოხელეს, კარსკის.

◆ **ლექცია.** დღეს პარასკევს, აგვისტოს 25-ს ელექტრო-თეატრ „რადიუმში" პ. ჯაფარიძე (მეუმრავლესე სოც.-დემ.) წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მეექვსე ყრილობა რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესეთა) და მათი დამოკიდებულება თანამედროვე მომენტთან". ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ბილეთების ფასი 2 მან. 50 კაპ. ჯარის-კაცთათვის 20 კაპ.

თბილისი.

— **ქართული უნივერსიტეტის** წესდება დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა.

— **კახეთის რკინის გზის გამგეობა.** შუამდგომლობს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე ნება მიეცეს მას დაამუშაოს გზისთვის საჭირო მასალა ყვარელისა, სიღნაღისა და ლაგოდეხის ტყეებში.

თბილისის პოლიტექნიკუმის სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტის პირველ კურსზე მიწვეული არის ლექციების წასაკითხად: ქიმიისა—პროფ. ნ. გ. მელიქიშვილი და ლ. მანდელმამი, ბოტანიკისა — მიშენკო, ზოოლოგიისა—ე. მეიერი, მინერალოგიისა—გინსბერგი და სასოფლო მეურნეობას შესავლის—ს. ა. ზახაროვი. ეს უკანასკნელი აგრეთვე იქნება ფაკულტეტის დეკანად და დირექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

— **საქალაქო თვითმართველობის დებულებანი.** ქალაქის საბჭოს ხმოსნები დიდს უხერხულობას განიცდიან იმის გამო, რომ მათ არ აქვთ ახალი საქალაქო დებულებანი და ვერც გასაყიდს შოულობენ. ამიტომ საბჭოს მდივანი ვ. ხახანაშვილი შეუდგა ძველ და ახალ დებულებათა შეკრებას, რომელიც კარგა ბლომად დაიბეჭდება გასაყიდად, რადგან სხვა ქალაქების ხმოსნებსაც სჭირიათ ეს წიგნი.

— **ექიმების გაწვევა სამხედრო სამსახურში.** ყველა მეორე რიგის (თეთრბილეთებიანები) მოლაშქრე ექიმები, რომელნიც ომში გასაწვევი არიან, გაწვეულ იქნებიან საერთო დებულების თანახმად. საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ სამხედრო ბეგრისგან განიხილავს და გადასწყვეტს კავკასიის სამხედრო-სასანიტარო საბჭო, საცა უნდა მიმართონ თხოვნით. პეტროგრადში გაგზავნილი შუამდგომლობა შესახებ სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებისა შეწყნარებული არ იქნება.

— **ხოლერის მოლოდინი.** ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტების მიერ მიღებულ ცნობათა მიხედვით, მეშედში (სპარსეთი) ხოლერა მძვინვარებს; სამს დღეში 238 კაცი გამხდარა ავად, რომელთაგან 102 უკვე გარდაცვლილა. ღონისძიებაა მიღებული, რომ ამიერ-კავკასიაში არ გადმოვიდეს ხოლერა, რის გამო სპარსეთიდან მომავლებს კარანტინში გაატარებენ.

— **მევენახეთა კავშირების წესდება.** კახეთის მევენახეთა კავშირმა წარმოადგინა დასამტკიცებლად ამიერ კავკასიის მევენახეთა და მეღვინეთა საბჭოს წესდების პროექტი სარაიონო კავშირებისა.

◆ **ახალი პიესა.** კ. ფოცხვერაშვილს დაუმთავრებია ტფილისის სცენაზე დასადგმელად ახალი კომედია (მუსიკით) „სოციალისტები".

◆ **ნაკაზი ქალაქის საბჭოს.** ტფ. ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ნაკაზი. აი შინაარსი: ქალაქის თავს რიგს გარეშე შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას. დანარჩენ ხმოსნებს, თვით საბჭოს თავმჯდომარესაც კი რიგით შეუძლიან სიტყვის წარმოთქმა. გარდა მომხსენებლისა და ქალაქის თავისა არავის 25 15 წუთზე მეტი ლაპარაკის ნება არა აქვს და გარდა ამისა არა უმეტეს ორი სიტყვისა თითო კრებაზე. საგანზე პასუხის გაცემა შეიძლება რიგ გარეშე, მხოლოდ კამათის დამთავრების შემდეგ და ამასთან ერთად არა უმეტეს 15 წუთისა. ხმოსნებს შეუძლიანთ თავის რიგი სხვას დაუთმონ. სიტყვები წარმოთქმის ადგილიდან, ამასთან ერთად შეიძლება სიტყვის წაკითხვაც და ციტატების და ამოწერილ ადგილების ხმარებაც. თავმჯდომარეა აჩერებს ორატორს როცა საზღვარს გადასცდება. ხმოსანი თუ კრების არა საკადრისს სიტყვას წარმოსთქვამს, თავმჯდომარეს ნება ეძლევა მოუსპოს და კრებიდან განდევნოს, არა უმეტეს ერთი თვისა. ხმოსნის განდევნას სწყვეტს საბჭო ყუკამათოთ ხმის მომეტებულ ნაწილით, რომელიც უნდა უდრიდეს არა უმცირეს ორი მესამედისა. გაძევებულ ხმოსანს სიტყვის თქმის ნება ეძლევა არა უმეტეს 5 წუთისა. ხმის შეკრება ფრაქციებში აღკრძალულია. კომისიების სხდომა საჯაროა და საგანგებო შემთხვევაში დახურული. მოხსენებისთვის და ახსნისთვის კომისია ირჩევს რამდენიმე მომხსენებელს. ხმოსანს, რომელსაც განცხადების შეტანა სურს უნდა განაცხადოს კრების დაწყებამდე. ამ მოხსენებაზე უნდა წარმოითქვას მხოლოდ ორი სიტყვა ერთი მომხრის, მეორე საწინააღმდეგო.

რუს-ქართულ ეკლესიების გამიჯვნა

ამიერ-კავკასიის საეგზარქოსო-მონასტრები ფაქტიურად უკვე გამიჯნა: საქართველოსი და კათოლიკოსისა. გამიჯვნის დროს მხედველობაში მიღებული იყო მრევლთა უმრავლესობა, ამა თუ იმ სასულიერო დაწესებულების შემნახველ დამსახურებულნი და ისტორიული ნიადაგი. ამასთან რუსი ბერ-მონოზნები ქართველთა წმიდა ადგილებიდან სხვაგან გადაჰყავთ (მაგალითად ბოდბის მონასტრიდან). საეგზარხო მონასტერი და სინოდის კანტორა ეგზარხოსის განკარგულების ქვეშ იმყოფება, მაგრამ სასინოდო კანტორის ქართველი წევრები ისევ იღებენ ჯამაგირს ამ თანამდებობაზე, უჭირავთ ოთახები, თუმცა ხელს აწერენ მხოლოდ ზოგიერთ აუცილებელ აქტებს, არ იღებენ ფაქტიურ მონაწილეობას საქმეში და თავისუფალ დროს საქართველოს ეკკლესიის დროებით მმართველობის სხდომებზედაც ესწრობიან. კვორუმის სისრულისათვის სასინოდო კანტორის ახალ წევრებად დაინიშნენ: დეკანოზი ა. პ. რაზუმოვსკი, ორნატსკი და ბუტირსკი. მონასტრების კეთილ მოწესეთა მოვალეობას ასრულებენ არქიმანდრიტი მამა ნაზარი (ქართულ მონასტრების კეთილ მოწესე) და მღვდელ მონაზონი მამა ანტონი. (რუსულ მონასტრების კეთილ მოწესე) კათალიკოსის განკარგულებას გადაეცა: თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელი და სასულიერო სამოსწავლო დაწესებულებანი ქუთაისისა. თბილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებელი ჯერ ისევ საეგზარხოსოს განკარგულების ქვეშ იმყოფებიან. მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად გამოურკვეველია ვინაიდან მოსწავლეთა უმრავლესობა ქართველობაა და თვით უფროსი ამ სამოსწავლო დაწესებულებათა დეკანოზი მამა კ. კეკელიძე საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის წევრია. არავინ იცის თუ ვის ამარასაა მიგდებული ამ სამოსწავლო დაწესებულებათა ბედი. სწავლის დაწყება ხომ ღვინობისთვის პირველამდის გადაიდო. საკითხს ის ამწვავებს რომ სემინარიის შენობა მთლად ჰოსპიტალს უჭირავს. სემინარიის მეურნეობას, ექს მიტროპოლიტ პიტირიმის წყალობით ნარექტორალ მელქისედეკმა ხომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო და ესეც ერთ მიზეზთაგანი—რომ სწავლის დაწყება ღვინობისთვის პირველამდის გადაიდო („რესპ.").

გარიგების აღკრძალვა მიწის საქმეში

ჩერნოვის აგრარულ კანონ-პროექტებში ხორცი შეისხა პირველად გარიგების აღკრძალვამ მიწის საქმეში.

დროებითი მთავრობის ეს ზომა ჩვენ მიგვაჩნია მის მოქმედების უმთავრეს მარცხად.

გარიგების აღკრძალვას მიწის საქმეში მთავრობა ხსნის იმ მოსაზრებით, რომ დამფუძნებელ კრებას შეეძლოს დაუბრკოლებლად და თავისუფლად მოიხმაროს მიწის ფონდი.

ეს მოსაზრება დასაწუნი არ არის, ვინც სდგას იმ ნიადაგზე, რომ საჭიროა ხელი შეუწყოს დამფუძნებელ კრების უფლებათა სისრულეს და მის დაცვასა, მაგრამ აქ ეჭვს და შიშს იწვევს თვით შინაარსი ახალი კანონისა.

მართლაც, რუსეთის რევოლუციისაგან ერთის კალმის მოსმით მიწის საქმეში გარიგების აღკრძალვამ უკანასკნელამდე შეამცირა მოთხოვნა მიწაზე.

საჭირო იყო მთავრობის ჩარევა ამ საქმეში მხოლოდ იმ მხრით, რომ თავიდან აეცდინა სპეკულიაცია და მამულების განზრახ დანაწილება, რაიცა მართლა შეაფერხებდა აგრარულ რეფორმის გატარებას ცხოვრებაში და არა სრულად აღკრძალვა ყოველგვარ გარიგებისა მიწის საქმეში. ამისთვის კი საკმაო იქნებოდა გამოცხადებულიყო უკანონოდ ყოველი გარიგება მიწის საქმეში, რომელიც კი შესრულებული იქნებოდა პირველი მარტის შემდეგ.

გარდა ამისა გარიგების აღკრძალვამ

მიწის საქმეში, სავსებით შეაფერხა მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმე და ამიტომ სავსებითვე წაართვა მას ყოველი მნიშვნელობა და ფასი.

საქმის ასეთი გარემოება კი ეჭვი არ არის, დიდად შეაფერხებს ისედაც განწირულ მდგომარეობაში მყოფ სასოფლო მეურნეობას, ე. ი. შემცირდება ხვნა თესვა, შესწყდება მიწის გადასახადების შეტანა ხაზინაში და სხვა. ასეთი ცნობები უკვე მოდის ყოველი მხრიდან.

ეს ცოტაა. ახალი კანონი აღკრძალავს მიწის დაგირავებას. ეს მუხლი კანონისა ეჭვი არ არის, გამოწვეულია ს. რევოლუციონერთა პროგრამის იმ ადგილით, რომელიც თხოულობს, რომ კერძო მიწები ჩამოერთვას მის პატრონებს გამოუყიდველად. თუ ვინიცობაა, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიწის გამოსყიდვის კანონი გირავნობის ფასებში, მით უკანასკნელამდე შემცირებული იქნება დაგირავებულ მიწების რაოდენობა. აღარას ვამბობთ იმაზე რომ ვ. ჩერნოვის ასეთი კანონი ძირს მოუთხრის სამამულო ბანკებს და თავზარს დასცემს მათ პაიების პატრონებს... („რ. ვ.“).

ახლა მაინც აღარ უნდა იყოს ასე

თავისუფლების გამოცხადებიდან უკვე მეექვსე თვე მიდის. ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი კრება მოხდა, სხვათა შორის, ჩვენ კურთხეულ ქუთაისშიდაც და არა ერთი და ორი წერილი დაიწერა ქართულ ჟურნალ გაზეთებში იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებულ დაწესებულებებში,—სკოლაა ეს, სასამართლოა, ხაზინაა თუ ფოსტა,—შეძლებისა დაგვარად მაინც, ნაციონალიზაცია მოხდეს. გვეგონა ქართველი მოხელეები აღფრთოვანებით შეხვდებოდნენ საუკეთესო ქართველების ამ გაზრახვას, მაგრამ მწარედ ვსტყუვდებით. სასკოლო მოსამსახურეების სასახელოდ (განსაკუთრებით სახალხო მასწავლებლებისა) და სასიქადულოდ უნდა ვსთქვათ, რომ უწყებაში ჩინებულად მიდის ნაციონალიზაციის საქმე და არც ერთ მასწავლებლების თავყრილობაზე ვერ შეამჩნევთ, რომ მთელი საქმის მსვლელობა ქართულ ენაზე არ მიდიოდეს და ან რომელიმე მასწავლებელი უცხო ენაზე ლაპარაკობდეს მხოლოდ, საუბედუროდ და დიდათ სამწუხაროდ, ამასვე ქუთაისურ საოლქო სასამართლოსა და ხაზინაში ვერ ვამჩნევთ ასი და ორასი შემთხვევა მქონია, მოწმედ გამხდარვარ და შემიმჩნევია რომ ქუთაისის ხაზინის ქართველი მოსამსახურეები იმისთანა ქართველ მთხოვნელს ელაპარაკებია უცხო ენაზე, რომელსაც ამ ენიდგან იოტის ოდენა არაფერი ესმის. დალოცვილები რუსული ენის ცოდნა-უცოდინარობას შლიაპითა და სერთუკით ზომავენ. ამ მამაცხონებულებს ავიწყდებათ, რომ დღეს ქართველი ქალის უმრავლესობას შლაპა ახურავს და მამაკაცებისას სერთუკი აცვია მაგალითად, ამას წინად ხაზინაში მივიდა ერთი ქართველი მანდილოსანი და ოთხი ას-ას მანეთიანი მისცა, ასე რომ ამ ფულებიდან ხურდა უნდა დაბრუნებოდა ფულების მიმცემ მანდილოსანს. მოხელე კი რუსულად ელაპარაკებოდა, ამდენი და ამდენი გერგებათო და საწყალი ქალი კი თავისთვის ბუტბუტებდა, რომ რუსული არ ვიცი და რა ვქნაო. ანგარიში მოხელემ სწორი მისცა, მაგრამ ქალი მაინც გულ-ნატკენი წავიდა. რატომ უნდა იყოს ასე, ამ თავისუფლების ჟამს მაინც? სირცხვილი იმ ქართველ მოხელეს, რომელსაც გულიც დაუკარგავს ქართული და სულიც, სადაც უნდა იყოს იგი, ქუთაისი იქნება ეს თუ ასტრახანი, სულ ერთია, საქმის წარმოების ნაციონალიზაციას თუ არ ახდენთ, ქართველო მოხელეებო, ლაპარაკით მაინც დაელაპარაკეთ ქართულად ერთი საუკუნით დატყვევებულ-დამაშვრალ ქართველ ერს და ამით მაინც აგემეთ დიადი თავისუფლების სიტკბოება.—

ბ. ქუთათელი

თანამედროვე მომენტი და ხელოვნების კითხვა.

წერილი VI.

(დასასრული)

თავის დროზე, მე მოკლეთ შევეხე თეატრის მნიშვნელობას და მისი არსებობის აუცილებელ საჭიროებას.

ინტელიგენტურ სფეროში სუფევს გამტკიცებული, ურყევი შეხედულება, აზრი სცენის მიზანზე და მისი დანიშნულებაზე. იქ შეგნებული აქვთ თეატრის ფასდაუდები ღირებულება, სავსებით წარმოდგენილი და შემუშავებულია დრამატიული ხელოვნების გავლენა პიროვნების ფსიხიკაზე და ამ გავლენის შედეგები.

ინტელიგენტი პიროვნების გონება განწმენდილი უნდა იყოს ხელოვნებაზე ცუდი და ცრუ შეხედულებისაგან. თუ ინტელიგენტებში შეხვდებით არა ნამდვილ დაფასებას თეატრის ღირებულებისა ჩვენში, ამ მოვლენამ გაკვირვება უნდა გამოიწვიოს, მაგრამ როდესაც თეატრის დანიშნულება ცუდათ ესმის ჯერ კიდევ განუვითარებელ და შეუგნებელ ნაწილს, დემოკრატიას, როდესაც მის სიტყვებში მახინჯდება სინამდვილის სახე, იქ გაკვირვებას ადგილი არ აქვს; ჩვენ გვესმის მიზეზი ასეთი ცრუ წარმოდგენისა, ასეთი უაზრო და შეუფერებელი დახასიათების ადამიანის ცხოვრების რომელიმე დარგის დანიშნულებისა, მაგ. სცენისა. დღეს ხშირად შეხვდებით და მოისმენთ ხალხში, რომ სცენა „გარყვნილების ბუდეა“, „სცენაზე გამოსული ქალი ოჯახში არ შეიშვება“ და მრავალ ასეთ სამაგალითო ეპიტეტებს მოისმენთ სცენის შესახებ. გესმით ეს სოფლად, და თქვენ გწამთ, რომ ამას ამბობს ადამიანი, რომელიც შეგნების, ცოდნის და განვითარების დაბალ საფეხურზე დგას. გული გეწვით ასეთი რამეს მოსმენაზე, მაგრამ თქვენში ბრაზი მაინც არ წარმოიშვება, რადგანაც ასეთი დახასიათების მიზეზი თქვენთვის სავსებით ნათელია. ბრაზსა და გულისწყრომას საფუძვლიანს თქვენში აღძრავს მხოლოდ ის, რომ ასეთი აზრის და შეხედულების მატარებელია ინტელიგენტი ადამიანი, შეგნებული. აქ თქვენთვის ბუნდოვანების ბურუსით არის მოცული მასში ასეთი ცრუ შეხედულების არსებობის მიზეზი. აღვნიშნოთ ყოველივე ზემოთქმული სინამდვილეები ხილული უტყუარი ფაქტებით.

პროვინციებში, საერთოდ, სცენის მოყვარე ქალების საგრძნობი ნაკლებობაა. თქვენ შეხვდებით, მკითხველო, ისეთ დაბას და პატარა ქალაქს, სადარ თეატრის დარბაზის მხატვრული და ტეხნიკური მოწყობილება განცვიფრებაში მოგიყვანთ. თუ თქვენ ინტერესით შესცქერით დრამატიულ ხელოვნებას, იტყვით, რომ ამ სცენაზე (მაგ. ოზურგეთის, სამტრედიის, სოხუმის და სხვ.) შესაძლოა მეტად რთული ხასიათის პიესების მხატვრულად შესრულება, შესაძლებელია სეზონის წარმოებაც და გამოცდილ მსახიობთა მოწვევა, მაგრამ ეს ასე არ ხდება. მიზეზად ითქმის სცენის მოყვარეთა დასის შემადგენლობის სისუსტე და განსაკუთრებით კი სცენის მოყვარე ქალთა რიცხვის ნაკლებობა. ეს კი ძლიერ ხშირი მოვლენაა პროვინციაში. ხშირად ერთ პიესაში ერთი სცენის მოყვარე ქალი ორ როლს ასრულებს, მაშინ როდესაც ამ მოვლენის თავიდან აცილება ძლიერ ადვილად შეიძლება. სრულის რწმუნებით შემიძლია ვსთქვა, რომ ყოველ დაბაში, სოფელში, ქალაქში, არიან ნიჭიერი სცენის მოყვარე ქალები, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ შესწევთ ძალა სცენაზე გამოსვლისა, არამც თუ გრძნობენ, დარწმუნებულიც არიან, მხურვალე სურვილიც აქვთ როლის შესრულებისა, რადგანაც მათ სცენის სიყვარული ამოძრავებთ. შესაძლებელია, დიდი შრომის და მეცადინეობის შემდეგ, დეპუტაციების წყალობით, ერთხელ ეღირსონ სცენაზე გამოსვლას, ვამბობ ერთხელ მხოლოდ, და შემდეგ სცენის კარები მათთვის მიხურულია. რისთვის?—მათ ყავს პატრონი, ძველი აზრების მატარებელი მშობლები, რომლებსაც სცენა „გარყვნილების ბუდეთ“ აქვს წარმოდგენილი და მტკიცე უარს აცხადებს თავის ქალის სცენად გამოსვლაზე. **„მე საკომენდიოთ არ გამიზდია ჩემი შვილი“**-ო, გაძლევთ პასუხს ქალის მამა.

„ნებას დავრთავ მხოლოდ ერთხელ გამოსვლისა, მეტჯერ არა, რა **პატიოსანი** ქალის საქმეა სცენაო“ ამბობს ინტელიგენტი პირი. აი მოსაზრებანი შეგნებული ადამიანებისა, რომლებში ცხოვრების მსვლელობას ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს ცრუ, ძველი აზრი ამ რიგათ, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ილახება და იჩრდილება ქალწულ არსებაში ბუნებრივი ნიჭი და ვით კმაყოფილდება მისი სულიერი მოთხოვნილება—სცენის მახურებისა.

თეატრზე ასეთი ცრუ შეხედულების მიხედვით მშობლების უარი და აკრძალვა სცენაზე გამოსვლისა, დიდ ზიანს აყენებს ქართულ ხელოვნებას და ხელს უშლის მის განვითარების ბუნებრივ მსვლელობას, რადგანაც ჩვენ გვწამს, რომ ყოველ ადამიანში არსებულ ბუნებრივ ნიჭს უნდა მიეცეს ფართო თავისუფალი გზა განვითარებისათვის, სულ ერთია, რომელ დარგში იქნება ის, და შეუგნებლად ხელის შეშლა კი იქნება დიდი, უპატიებელი შეცდომა, ეს იქნება ღრმა და სიტყვით უთქმელი ხასიათის ტრაგედია. ვინ იცის, რამდენი ნიჭი იკარგება სოფლად, რადგანაც ვერ პოულობს საჭირო გზას სამოქმედოთ? ვინ იცის და ვინ ჩამოთვლის—რამდენი ნიჭი დაჭკარგა დღემდე ქართულმა სცენამ ასეთი მიზეზების გამო? ვინ იტყვის რამდენ მათგანს შეეძლო შვენების დიადი ელფეროვნებით მოექარგა უმწიკვლო სახე ქართული მელპომენისა?

დიახ, ვინ იცის, ვინ ჩამოთვლის, ვინ იტყვის?!...

საჭიროა საშუალების აღმოჩენა, კულტურული ბრძოლა და მართალი, სწორი გზა ამ ბრძოლისათვის. ჩვენის აზრით საშუალება ასეთი უნდა იყოს. დღეს, თვით არსებული პოლიტიკური ხანა, ჩვენი ტრაგიული ყოფნის ძნელი მომენტი გვაკავშირებს სოფელთან და საერთოდ პროვინციასთან.

„ხალხში გასვლა და მოქმედება“—ეს დევიზი დღეს ყველა მომქმედ პარტიამ დაისახა.

პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობის დროს ჩვენ ხელოვნებას არ ვივიწყებთ. ჩვენ ვაღიარეთ მისი საჭიროებას რევოლუციურ მომენტში, ამიტომ ყოველმა „დრამატიულმა საზოგადოებამ“ თავისი როლი ამ მოვალეობითაც უნდა გააფართოვოს. მებრძოლად უნდა გამოვიდეს „დრამატიული საზოგადოება“.

ყოველი წარმოდგენის დაწყებამდე ყოველ ადგილას უნდა იქნეს წაკითხული მდაბიო, გასაგებ ენაზე მოხსენება თეატრის მნიშვნელობაზე, საჭიროა ახსნა, და განმარტება იმ დიდი სარგებლობისა, რომელიც სცენას მიაქვს, ჩვენის აზრით ეს იქნება ისეთი გზა და საშუალება, რომლის შემწეობით ხალხის წარმოდგენაში უნდა განიწმინდოს სცენის დანიშნულების დღეს ჩირქ მოცხებული სახე, ხალხის ენამ არასოდეს არ უნდა განიმეოროს თეატრი როგორც „გარყვნილების ბუდე“, არამედ შევიდეს შიგ, ამ ტაძარში ხელოვნებისა, წმინდა სულით, ნამდვილი წარმოდგენით და წრფელი სიყვარულით.

დუმილის წყვიადში კვდებოდა ნიჭი, დეე, მოისპოს ყველა აღნიშნული მიზეზები და ნიჭის მატარებელ ქართველის მშრომელმა შეიგნოს ხელოვნების სიდიადე და მისი ღირებულება. სთქვას მან: „ვცდებოდი მე“, შეიყვაროს თვით და შეაყვაროს თავისი შთამომავლობას ის დარგი ადამიანისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, რომლის სიწმინდისთვის ჩვენ ვიბრძვით, ესე იგი—ხელოვნება.

ფრანც-მოორი.

საამხანაგო სასამართლოს განაჩენი.

1917 წელსა, აგვისტოს 4—5-ს დღესა.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის საამხანაგო სასამართლომ გაარჩია მასწავლებლების გ. წივწივაძის და ელევთერ მელაძის საქმე და დაადგინა დასვას შემდეგი კითხვები: გიორგი წივწივაძის შესახებ:

	განაჩენი:
1) დამტკიცებულია თუ არა, რომ გ. წივწივაძე მეტად უდიერად და არა პედაგოგიურად ეპყრობოდა მოწაფეებს?	1) არა, არ არის დამტკიცებული, მაგრამ საქმიდგან სჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იგი დისციპლინის დასაცავად სიმკაცრეს (Чрезмѣрную строгость) იჩენდა.
2) დამტკიცებულია თუ არა, რომ გ. წივწივაძე სცემდა უმართებულოდ საზოგადოების წევრს, ჰქლავდა და შეურაცყოფას აყენებდა ადამიანის პიროვნებას?	2) არა, არ არის დამტკიცებული.
3) დამტკიცებულია თუ არა, რომ გ. წივწივაძე „კლიაოზნიკურ“ საქმეებს აწარმოებდა, ან სხვას თუ აქეზებდა ამ საქმეზედ?	3) არა, არ არის დამტკიცებული, რომ ის „კლიაოზნიკია“ არც სხვას აქეზებდა ამ საქმეზედ, მხოლოდ მის მიერ შედგენილი საჩივარი ბოქაულის სახელზედ დოქვირის და ელ. მელაძის შესახებ შეუფერებელი შინაარსისაა.
4) გ. წივწივაძე ეწეოდა თუ არა ჯაშუშობას?	4) არა, არ ეწეოდა.
ბ) ელევთერ მელაძის შესახებ:	
1) დამტკიცებულია თუ არა, რომ ელევთერ მელაძის მოქმედებაში გ. წივწივაძის წინააღმდეგ, სხვსთა შორის, იჩინა თავი პირადულმა ინტერესებმა და შურის ძიებამ?	1) კი, დამტკიცებულია. ეს დადგენილება გავიდა ოთხი ხმით ერთის წინააღმდეგ. ამასთან სასამართლო აღიარებს, რომ გ. წივწივაძის ზოგიერთ მოქმედებას ელევთერ მელაძის წინააღმდეგ შეეძლო გამოეწვია მასში აღშფოთება და ერთგვარი სიძულვილიც.
2) გ. წივწივაძის წინააღმდეგ ელევთერ მელაძემ ბოროტათ მოიხმარა თავისი უფლება თუ არა?	2) კი, კი მოიხმარა ბოროტად.

რეზოლუცია:

დასავლეთ საქართვ. სახალ. მასწავ. კავშირის სასამართლომ, განიხილა რა საქმე გ. წივწივაძისა და მელაძის და მიიღო რა მხედველობაში ზემო აღნიშნული კითხვებზედ თავისი დასკვნანი, ამ წლის 5 აგვისტოს სხდომაზედ დაადგინა შემდეგი: გიორგი წივწივაძეს ეძლევა წინადადება დისციპლინის დასაცავად ერიდოს მკაცრ ზომებს და მის მიერ შედგენილი თხოვნისთვის ბოქაულის სახელზედ დოქვირის და ელევთერ მელაძის წინააღმდეგ ეცხადება შენიშვნა გაფთხილებით; დანარჩენ ბრალდებებში სრულიად უდანაშაულოთ და გამართლებულად ცნობილ იქმნა. ელევთერ მელაძის შესახებ რეზოლუციის გამოტანა სასამართლომ გადადვა და დაადგინა: მოიწვიოს ელევ. მელაძე და მოისმინოს მისი უკანასკნელი სიტყვა, ელევთერ მოწვეულ იქმნას 11 აგვისტოსთვის ამა წლისა.

სასამართლოს თავმჯდომარე ლაზარე შურღაია.

წევრები: თ. მთავრიშვილი. ალ. სჩეპანსკი. კაჭკაჭაშვილი.

მდივნის მაგიერი წევრი—ბაბო მჭედლიძე.

1917 წელსა 11 აგვისტოს დღესა

საამხანაგო სასამართომ მოისმინა რა ელევთერ მელაძის უკანასკნელი სიტყვა, გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: გამოეცხადოს ელევთერ მელაძეს სასტიკი განკიცხვა და გაფრთხილება მის მიერ რევოლუციონური უფლების ბოროტად მოხმარებისათვის მოწინააღმდეგის მიმართ.

სასამართლოს თავმჯდომარე ლაზარე შურღაია.

წევრები: თ. მთავრიშვილი. ალ. სჩეპანსკი. კაჭკაჭაშვილი.

მდივნის მაგიერი წევრი—ბაბო მჭედლიძე.

ასლი ესე დედანთან შედარებულია და სწორია, რასაც ვამოწმებ საკუთარი ხელის მოწერით 1917 წელს, აგვისტოს 22-სა დღესა. ქ. ქუთაისი სასამართლოს თავმჯდომარე **ლაზარე შურღაია.**

ბრძოლის ველიდან.

სალამი გაზ. „ჩვენ ქვეყანას“.

ჩვენ, ქართველი სანიტრები მე-11 რაზმისა, რიცხვით 20 კაცი მოგმართავთ შემდეგის თხოვნით. ეს ერთი ხანია გაზ. „ჩვენ ქვეყანა“ [illegible] [illegible] გაზეთს [illegible] ვიგებდით ჩვენი ქვეყნის ჭირვარამ ვითარებას. [illegible] გაზ. „ჩვენ ქვეყანას“ [illegible] იგი. ჩვენ, აქ მყოფნი ქართველები, მხურვალე სალამს უძღვნით „ჩვენ ქვეყანას“. გთხოვთ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ უფასოთ გვიგზავნოთ. *)

ამხანაგთა მონდობილობით სანიტარი **ბესარიონ ძნელაძე.**

წერილი რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ივლისის 30 ს. საყულიაში გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ, რომლის შემოსავალი უდრის 1065 მ. აქედან ხარჯები 517 მ. 50 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 547 მ. 50 კ. დიდ მადლობას უძღვნით ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს, განსაკუთრებით დიმიტრი ალმასხანის ძე მესხს, რომელმაც მოიწვია დამკრავები თავის ხარჯით; ადგილობრივ სცენის მოყვარეთ—ონისიმე და ისაკო სარიშვილს, რომელნიც დაგვეხმარენ ვახშმის მოწყობაში.

საყულიის სამკითხველოს გამგეობა.

ჩვენი ფოსტა

ზ—კოს. რადგან თქვენი წერილი ხელმოუწერელია და თქვენი მისამართი აღუნიშნველი, თქვენს წერილს ვერ განვიხილავთ და ვერ დავბეჭდავთ.

რედაქცია.

*) გაზეთის გზავნა არ შეწყვეტილა და კვლავ გამოგეგზავნებათ უფასოთ. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს. 47 წ.
„	— საღამ.	— 8 ს. 49 „
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 55 „
„	— ღამის	— 11 ს. 42 „
„	— დილის	— 10 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის	— 8 ს. 17 „
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. „
	დილის	— 9 ს. 10 „
ხაშურიდან	— დილის	— 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25 „
„	— ღამის	— 10 ს. 20
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 1 „
„	— დღით	— 1 ს. 40 „
„	— დილის	— 6 ს. 20 „
ფოთისაკენ	— დღისით	— 3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის	— 7 ს. 57 „
	— დღით	— 2 ს. 37 „
ხაშურისაკენ	— დღით	— 4 ს. 40 „

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში ესხმს „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტუშანსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.

მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში